დამტკიცებულია კანცლერის 2023 წლის 10 ნოემბრის
#01-157 ბრძანებით

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიას.
2. წესი ადგენს დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების რეგულაციებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნები

1. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და განსაზღვრავდეს აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში).
2. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 240 კრედიტს, სადაც ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კურსების მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 120 კრედიტს. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით.
4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 120 კრედიტს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს თეორიული კომპონენტი, რომელშიც მოიაზრება სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და ასევე სამეცნიერო კვლევის კომპონენტი. ყველა სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკული კომპონენტი.
5. უმაღლესი განათლების 1-ელი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.
6. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით განსაზღვრულ

შემთხვევებში, შესაძლებელია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება არანაკლებ 180 კრედიტის ოდენობით, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - არანაკლებ 60 კრედიტის ოდენობით.

7. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 60 კრედიტს. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი ელემენტები და კვლევითი კომპონენტი.
8. მედიცინის და სტომატოლოგიის ერსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს არანაკლებ 360/300 კრედიტს. ერთსაფეხურიანი პროგრამების სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები და არჩევითი სასწავლო კურსები.
9. კურიკულუმით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კრედიტების მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. უნივერსიტეტში ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს.
10. პროგრამის თითოეული კომპონენტის კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა ხდება მისი შინაარსის, მოცულობის, სწავლის შედეგების, საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესაძლებლობების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
11. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უნდა აკმაყოფილებდეს მიღწევადობისა და რეალისტურობის კრიტერიუმებს.
12. საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევა.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის შესახებ იდეა შესაძლოა მომდინარეობდეს ფაკულტეტის საბჭოს, უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან და ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან.
2. ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყებამდე ტარდება დასაქმების ბაზრის კვლევა. დასაქმების ბაზრის კვლევის ფარგლებში ფასდება თუ რამდენად მოთხოვნადია აღნიშნული პროფესია დღევანდელ რეალობაში და რამდენად აქვს კურსდამთავრებულს დასაქმების პერსპექტივა ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
3. ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულ პირთა სიას ადგენს ფაკულტეტის დეკანი და ქმნის სამუშაო ჯგუფს (დანართი 1).
4. რექტორი ბრძანებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფს და ჯგუფის ხელმძღვანელს.
5. ახალ პროგრამაზე მუშაობის დაწყებამდე, დასაქმების ბაზრის კვლევის და ფაკულტეტის დეკანის მიერ მობილიზებული სხვა საჭირო რესურსების/მონაცემების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი აანალიზებს და განსაზღვრავს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და სავარაუდო რისკებს - SWOT ანალიზი.
6. მიღებული მონაცემების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სტრატეგიები და განხორციელების გზები.
7. ფაკულტეტის დეკანი და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი შეისწავლიან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ პროგრამებს, უცხო ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების პრაქტიკას საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და ინოვაციების დანერგვის მიზნით.
8. სამუშაო ჯგუფის მიერ, პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბების შემდეგ, იწყება სასწავლო

კურსების სავარაუდო განმახორციელებლებს შორის განაწილება და სილაბუსების პროექტებზე მუშაობის პროცესი.

9. საგანმანათლებლო პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ჩარჩო მოთხოვნების შესაბამისად (დანართი 2 და დანართი 3).
10. პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები. მათი ჩართულობა ითვალისწინებს პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავების პროცესში რჩევების, რეკომენდაციებისა და წინადადებების წარმოდგენას.
11. პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლოა ჩაერთოს გარე ექსპერტი.
12. პროგრამაზე მუშაობის პროცესში სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება სამომავლოდ პროგრამის განვითარების გეგმის შედგენა, სადაც განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობების პერიოდულობა, შედეგების გაზომვის საშუალებები/ინდიკატორები, დაინტერესებულ პირებთან ინფორმაციის გაზიარების სტრატეგია და აქტივობების მოსალოდნელი შედეგები (დანართი 4).
13. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს პროგრამის მოსამზადებელ ეტაპზე მიმდინარე სამუშაოების ამსახველი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას.
14. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსების რეგულარულ შეფასებას დადგენილი ფორმებისა და კრიტერიუმების მიხედვით.
15. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი ამზადებენ დასაბუთებულ დასკვნას საგანმანათლებლო პროგრამისა და შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსების მზაობასთან დაკავშირებით.
16. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების, პროგრამის ბიუჯეტის, ადამიანური და მატერიალური რესურსის ფაკულტეტის საბჭოზე წარდგენისა და დამტკიცების ამსახველი კრების ოქმების წარმოებას.
17. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებულ პროექტს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, წარადგენს ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამის პროექტს და რეკომენდაციას აძლევს შემდგომი მსვლელობისთვის, ან მნიშვნელოვანი ხარვეზების არსებობისას უბრუნებს სამუშაო ჯგუფს.
18. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის საბჭომ დაახარვეზა წარმოდგენილი პროგრამა, სამუშაო ჯგუფი მსჯელობს საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და ჯგუფის ხელმძღვანელი წარადგენს მოდიფიცირებულ ვერსიას.
19. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი სილაბუსების პროექტები, კანონმდებლობით დადგენილ ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
20. ფაკულტეტის დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

1. საგანმანათლებლო პროგრამის, შესაბამისი სილაბუსებისა და თანმდევი დოკუმენტაციის

წარდგენის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პროგრამას და სილაბუსებს დადგენილი ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით და ამზადებს დასკვნას საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დადებითი რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და თანმდევი დოკუმენტაციის პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, უკან აბრუნებს საგანმანათლებლო პროგრამას და სილაბუსებს, ხარვეზის გამოსასწორებლად.
4. ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, პროგრამა და სილაბუსები ფაკულტეტის საბჭოს მონაწილეობის გარეშე, წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამსახური აღარ ავსებს პროგრამის შეფასების ფორმას და წერს დასკვნას ხარვეზის გამოსწორების დასადასტურებლად, რის შემდგომაც საგანმანათლებლო პროგრამას, თანდართული ხარვეზის გამოსწორების დასკვნით, დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
5. უნივერსიტეტის მისიასთან, სამოქმედო გეგმასთან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასა და აკრედიტაციისათვის წარდგენასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია:
   ა) კონკრეტული სასწავლო კურსების მიმართ ახალი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში;
   ბ) კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულებზე დასაქმების ბაზრის მხრიდან წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად;
   გ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, გარე ექსპერტთა და დამსაქმებელთა მხრიდან პროგრამასთან დაკავშირებით რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით;
   დ) პროგრამის განხორციელების პროცესის და სტრატეგიის პერიოდული შეფასებისას, დადგენილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, მცირე ცვლილებების განხორციელებით (დანართი 5);
   ე) პროგრამის განხორციელების პროცესის და სტრატეგიის პერიოდული შეფასებისას, დადგენილი კრიტერიუმებიდან ხუთზე მეტი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, საფუძვლიანი ცვლილებების განხორციელებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ხდება ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:
   ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არცერთი სტუდენტი;
   ბ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

გ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;
დ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია პროგრამის გაუქმებამდე მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და დეტალურად გააცნოს მათ ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობისთვის საჭირო ყველა აუცილებელი პროცედურის შესახებ.
3. ამ მუხლის 1-ელი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ და “დ” ქვეპუნქტების საფუძვლით პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ასევე ახდენს სტუდენტებისთვის არსებული მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას.
4. სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები დეტალურად განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებულ რექტორის სამართლებრივ აქტში.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები საგანმანათლებლო პროგრამის, შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცესში მოქმედებენ წინამდებარე წესის საფუძველზე.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით.
3. აღნიშნული წესის დამტკიცებით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანცლერის 2017 წლის 22 დეკემბრის #01-187 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი“.

დანართი 1.

დაინტერესებული მხარეები - კატეგორია	**სამუშაო ჯგუფის მონაწილე დაინტერესებული მხარეები**	**პროგრამის შედგენისას დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის როლი**
პროგრამის მონაწილეები	აკადემიური და მოწვეული პერსონალი	სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების კომპონენტების განსაზღვრა
	სტუდენტები და კურსდამთავრებულები	საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების განსაზღვრა.
დამსაქმებლები	სახელმწიფო ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები; კერძო სტრუქტურები; საგანმანათლებლო დაწესებულებები	პროგრამის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება, დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით.
საერთაშორისო პარტნიორები	უცხოური უნივერსიტეტები; საერთაშორისო კვლევითი ცენტრები; სხვა.	ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების კომპონენტების განსაზღვრა; სწავლების მეთოდების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
პროგრამის დამხმარე პერსონალი;	სასწავლო პროცესში მონაწილე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების და სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რეგულაციების შექმნა. პროგრამის მონაწილეების ინფორმირების ეფექტური სისტემის შემუშავება უსდ-ს საგანმანათლებლო და დამატებითი აქტივობების შესახებ.

დანართი 2. საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო ფორმა.

თბილისი, წელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

0000

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N, თვე, წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილება N

თვე, წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

ფართო სფერო

ვიწრო სფერო

დეტალური სფერო

სწავლის ხანგრძლივობა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სწავლების ენა

პროგრამის ხელმძღვანელი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამის მიზანი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

უნარი

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

შეფასების კომპონენტები და მეთოდები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების **ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დასაქმების სფერო

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის სტრუქტურა
სამართლის სამაგისტრო პროგრამის ელემენტები (ECTS)
თეორიული კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (ECTS)
თეორიული კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (ECTS)
პრაქტიკული კომპონენტი (ECTS)
კვლევითი კომპონენტი (ECTS)

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი
სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა
პროგრამის ხარისხის მონიტორინგი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა	☐ თან ერთვის ☐ არ ერთვის
სწავლის შედეგების რუქა	☐ თან ერთვის ☐ არ ერთვის
პროგრამის სასწავლო გეგმა	☐ თან ერთვის ☐ არ ერთვის
პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუქა	☐ თან ერთვის ☐ არ ერთვის
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის რუქა	☐ თან ერთვის ☐ არ ერთვის
საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი	☐ თან ერთვის ☐ არ ერთვის
პროგრამის ხელმძღვანელის CV	☐ თან ერთვის ☐ არ ერთვის

დანართი 1.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
1.							
1.							
2.							
1.							
2.							
1.							

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
2.							
1.							
1.							
			სემესტრში				
			წელიწადში				
			სულ				

CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სწავლის შედეგების რუქა

№	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი / საათები	ECTS კრედიტი\ საათი	საკონტაქტო						დამოუკიდებელი მუშაობა
				ლექცია	სემინარი /პრაქტიკული	მუალედური/დასკვნითი გამოცდა	საშინაო დავალების პრეზენტაცია	იმიტირებული სასამართლო პროცესი	პრაქტიკა/კონსულტაცია	

პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუქა

პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსები
ცოდნა და გაცნობიერება	
უნარი	
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი

აკადემიური პერსონალი	სასწავლო კურსი

მოწვეული ლექტორები	სასწავლო კურსი
თამარ სურმავა	
ნინო შენგელია	
ინგა კვაჭანტირაძე	

სამართლის სამაგისტრო
 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,
ასოცირებული

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი, ასოცირებული

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი				
თანამდებობა				
სამუშაო ადგილი				
საკონტაქტო ინფორმაცია				
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები				
პუბლიკაციები				

დანართი 3. სილაბუსის ჩარჩო ფორმა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება

სასწავლო კურსის კოდი -

სასწავლო კურსის სტატუსი	ფაკულტეტი
	სწავლების საფეხური
	პროგრამა

ინფორმაცია სასწავლო კურსის განმახორციელებლ(ებ)ის შესახებ	სახელი, გვარი
	აკადემიური ხარისხი
	დაკავებული აკადემიური თანამდებობა
	ტელ.:
	E-mail:
	კონსულტაციის დღე

ECTS	n კრედიტი – n სთ. ( )	
	ლექცია	
	შუალედური და დასკვნითი შეფასება	
	დამოუკიდებელი მუშაობა	

სწავლების სემესტრი	
დაშვების წინაპირობები	

სასწავლო კურსის მიზანი

სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება
სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი:
უნარი

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები
☒ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒დამოუკიდებელი მუშაობა ☐ პრაქტიკული მუშაობა ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☒ ინდივიდუალური საშინაო დავალება სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. სწავლება-სწავლის პროცესში, თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით, გამოიყენება შემდეგი აქტივობები: **ცოდნა და გაცნობიერება** **უნარი:** **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

სავალდებულო ლიტერატურა

დამხმარე ლიტერატურა
1.

შეფასების კომპონენტები		
1		
2		
3		
4	შუალედური გამოცდა	20 ქულა
5	დასკვნითი გამოცდა	40 ქულა
შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამური ქულა		100 ქულა

შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის შინაარსი		
კვირა №	მეცადინეობის ფორმა და საკონტაქტო დრო (სთ)	თემის დასახელება და შინაარსი
1		
		სავალდებულო ლიტერატურა:
2		
		სავალდებულო ლიტერატურა:
3		
		სავალდებულო ლიტერატურა:
4		
		სავალდებულო ლიტერატურა:
		საშინაო დავალება
5		
6		
		სავალდებულო ლიტერატურა:
7-8		**შუალედური გამოცდა**
9		
		სავალდებულო ლიტერატურა:
10		
		სავალდებულო ლიტერატურა:
11		
		სავალდებულო ლიტერატურა:
12		
		სავალდებულო ლიტერატურა:
		საშინაო დავალება
13		
		სავალდებულო ლიტერატურა:
14		

		სავალდებულო ლიტერატურა:
15		
16-18		**დასკვნითი გამოცდა**
19		**დასკვნითი გამოცდის გადაბარება**

სწავლის შედეგების შეფასების რუკა

სწავლის შედეგები	**შეფასების კომპონენტები**	**შეფასების მეთოდები**
ცოდნა და გაცნობიერება		
	შუალედური გამოცდა	
	დასკვნითი გამოცდა	
უნარი		
	შუალედური გამოცდა	
	დასკვნითი გამოცდა	
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა		

ლექტორი

პროგრამის ხელმძღვანელი,

სასწავლო წელი

დანართი 4.

დასახელება	გაზომვის საშუალება	საშუალო მაჩვენებელი/ რაოდენობა	შეფასების/განვითარების პერიოდულობა მომდევნო n წლის განმავლობაში	მოსალოდნელი შედეგი
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის განვითარება				
აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ინტერნაციონალიზაცია				
სტუდწენტინტერნაციონალიზაცია				
უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობა და კვლევითი პროექტები				
სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარება				
საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები				
აკადემიური /სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, მისი განვითარება				
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის სისტემა და მისი განვითარება				
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის სისტემა და მისი განვითარება				
დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის სისტემა და მისი განვითარება				

დანართი 5.

პროგრამის განხორციელების პროცესის და სტრატეგიის შეფასება	**დიახ**	**არა**	**ნაწილობრივ**
პროგრამის განხორციელების პროცესი მიმდინარეობს პროგრამით დასახული მიზნების შესაბამისად.			
პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.			
უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების სისტემა მოქნილია და ხელს უწყობს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციას.			
უნივერსიტეტის მიერ უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით გათვალისწინებული აქტივობები, ხელს უწყობს უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და ერთობლივი პროგრამების ან მათ განსახორციელებლად საჭირო პარტნიორების მოპოვების შესაძლებლობას.			
სტუდენტები და კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან კვალიფიკაციის შესაბამისად.			
აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ობიექტურად შეფასებას.			
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროგრამის განხორციელების შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები დადებითია.			
სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ პროგრამის განხორციელების შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები დადებითია.			
პროგრამის სტრატეგია: • ეყრდნობა პროგრამის ძლიერ მხარეებს • ამცირებს პროგრამის სუსტ მხარეებს • ეყრდნობა პროგრამის შესაძლებლობებს • ამცირებს პროგრამის საფრთხეებს			